www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 4 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3379 (186) | ფასი 50 თეთრი

გიორგი მარგველაშვილი დიცსა და დვანში პროვოკაციის საშიშროებას უფრთხის

გუშინ დვანში მავთულხლართების დასამონტაჟებლად გამზადებული ბოძები აიღეს, თუმცა რუსი სამხედროები ადგილზე რჩებიან და პატრულირებენ. რატომ გაიტანეს ტერიტორიიდან მავთულხლართების ბოძები, უცნობია.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ბოძები აღება ჟურნალისტების და სტუდენტების მიერ დვანში ჩატარებული აქციების და საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი რეაქციის შედეგია. ნაწილი კი მიიჩნევს, რომ რუსი ოკუპანტები ისევ სოფელ დიცში გადაინაცვლებენ.

უკანონოდ დამონტაჟებული მავთულხლართების შესახებ კომენტარი გააკეთა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა. სახელმწიფო დეპარტამენტი მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთებულია და აღნიშნავს, რომ რუსეთის ქმედება მის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. სახელმწიფო დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედება ზიანს აყენებს მხარეებს შორის ნდობას და რუსეთს მოუწოდებს საქართველოში არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით, ჟენევის დისკუსიების ფორმატი გამოიყენოს.

„შეშფოთებული ვართ საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციული საზღვრის ხაზზე რუსეთის უსაფრთხოებს ძალების მიერ ღობეებისა და სხვა ბარიერების აღმართვის გამო.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

შსს-ს ინფორმაციით, „ჯიჰადის„ ვიდეოების საქმე გახსნილია



თიკა ნიკოლაძე

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში ორი დღის წინ დაანონსებული ბრიფინგი გაიმართა, რომელიც „ერთი თვის წინ გახსნილ“ საქმეს ეხებოდა.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ ნინო გიორგობიანის განცხადებით, ე.წ. ჯიჰადის ვიდეოს საქმეზე ბრალდებულია ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც ამჟამად საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

კონსტანტინე კუბლაშვილი პარლამენტს ინიციატივით მიმართავს

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი პარლამენტს მიმართავს და მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის შესახებ კანონპროექტის განხილვის შეჩერებას სთხოვს.

კუბლაშვილის თქმით, პარლამენტმა მიმდინარე კვირას „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით მიიღო, რომელიც მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასა და სამწლიან გამოსაცდელ ვადას ეხება. კონსტანტინე კუბლაშვილის მტკიცებით, ამ პროექტის მეორე და მესამე მოსმენით ძალიან სწრაფად მიღება იგეგმება.

კონსტანტინე კუბლაშვილის განმარტებით, კანონპროექტის მიღების ფორმალური მიზეზი ის არის, რომ 17 ნოემბერს ძალაში შედის კონსტიტუციის ახალი ნორმები, მათ შორის ნორმა, რომელიც მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესს ადგენს.

„ვფიქრობთ, ნამდვილად არ იქნება სწორი, მართებული და მიზანშეწონილი, რომ ასეთ მნიშვნელოვანი საკითხი ასე სწრაფად და თუნდაც კონსტიტუციით მოთხოვნილ უმცირეს ვადებში განვიხილოთ და მივიღოთ. ჩვენ ამ საკითხის დეტალურად განსახილველად დრო ნამდვილად არ გვქონია. მხოლოდ პრინციპების შესახებ ვიმსჯელეთ და არა იმ კონკრეტულ ნორმებზე, რომლებიც კანონშია მითითებული,“ - აღნიშნავს კუბლაშვილი.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ამერიკაში ბიუჯეტზე ისევ ვერ თანხმდებიან

ივა შილაკაძე

1 ოქტომბრიდან, როდესაც აშშ-ში ახალი ფინანსური წელი იწყება, მთავრობის მუშაობა ნაწილობრივ შეჩერებულია, რადგან დემოკრატები და რესპუბლიკელები ბიუჯეტზე ვერ შეთანხმდნენ. ქვეყანა და, პირველ რიგში, ფედერალური მთავრობა დამტკიცებული ბიუჯეტის გარეშეა დარჩენილი. კრიზისული სქემით, მხოლოდ ის უწყებები ან ფედერალური უწყებების ის ნაწილიფინანსდება, რომელთა მუშაობაც აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე. ამაზე წინა დღეებში დაწვრილებით წერდა „24 საათი“.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ნაკრები ფაჩულიას გარეშე?

არტისტერიუმი პასუხისთვის კითხვაზე - ვარ მე შენ?

2012 წლის „არტისტერიუმის“ ერთ-ერთი გამოფენა

სოფიო ნემსაძე

2013 წლის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „არტისტერიუმი“ დღეს მეექვსედ გაიხსნება. თემა, თუნდაც სლოგანი გახლავთ- «ვარ მე შენ?». იდენტობისა და თვითიდენტიფიკაციის, ინდივიდისა და საზოგადოების, მე“-სა და სხვების“ ამოცანების ეს გამაერიანებელი სლოგანი საქართველოს ამჟამინდელი რეალობისთვის მეტისმეტად ადეკვატური და იქნებ დროულიც იყოს ანალიზისთვის. თუ დაგვიანებული არა...

წლევანდელი „არტისტერიუმის“ თემა 1998 წელს ილიკო ზაუტაშვილის მიერ გამართულ პერფორმანსს უკავშირდება. პერფორმანსის ოთხი მონაწილე 2 წყვილადაა გაყოფილი, რომლებიც ერთმანეთის «გაგებას» ცდილობენ, მაგრამ წინააღმდეგობებს აწყდებიან. პირველ წყვილს თვალები აქვთ ახვეული და ერთამენთს ეხებიან, მეორე წყვილი კი სხვადასხვა ენაზე დაწერილ წიგნს ხმამაღლა, ერთდროულად კითხულობს.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

«ფრიდომ ჰაუსი» - ინტერნეტის თავისუფლების მხრივ, საქართველო რეგიონში ყველაზე თავისუფალი ქვეყანაა

უფლებადამცველი ორგანიზაცია «ფრიდომ ჰაუსის» ყოველწლიურ ანგარიშში „თავისუფლება ქსელში“ საქართველო თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა. ორგანიზაციის წლევანდელ ანგარიშში საქართველომ 26 ქულით მე-12 ადგილი დაიკავა.

ანგარიში 2012 წლის მაისიდან 2013 წლის პერიოდს მოიცავს. როგორც უფლებადამცველი ორგანიზაცია აღნიშნავს, შარშანდელთან შედარებით საქართველოში მცირედით შემცირდა ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვები, რაც 8 ქულით შეფასდა (9). ასევე შემცირდა შინაარსთან დაკავშირებული შეზღუდვები - 7 (10). რაც შეეხება ინტერნეტის მომხმარებელთა უფლებების დარღვევებს, ამ მხრივ ცვლილება არ ყოფილა და კვლავ 11 ქულით არის შეფასებული.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ინტერნეტის თავისუფლების მხრივ საქართველო რეგიონში ყველაზე თავისუფალი ქვეყანა გახდა და უკან ჩამოიტოვა უკრაინა, სომხეთი, ყირგიზეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი და უზბეკეთი.

«ფრიდომ ჰაუსის» ანგარიშში „თავისუფლება ქსელში 2013“ პირველ ხუთეულში მოხვდნენ: ისლანდია, ესტონეთი, გერმანია, აშშ და ავსტრალია.

პოლიციის აკადემიას საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭება

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიას საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ენიჭება. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით შსს-მ პარლამენტს უკვე მიმართა.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, შს სამინისტროს ენიჭება უფლება, აკადემიისთვის საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართოს; განისაზღვრება შს სამინისტროს კომპეტენცია საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის; აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულო არ იქნება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასე შემდეგ.

პროექტის თანახმად, საპოლიციო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე კონტროლს შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს.

„ტელეიმედის“ გენერალურმა დირექტორმა თანამდებობა დატოვა

„ტელეიმედის“ გენერალური დირექტორი დენ ბეითსი თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედის“ ვებგვერდზე ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის, „ტელეიმედის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დენ ბეითსის ერთობლივი განცხადება გავრცელდა.

„ძვირფასო მეგობრებო! სინანულით გვინდა, განვაცხადოთ, რომ ბატონი დენ ბეითსი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებულია, შეწყვიტოს საქმიანობა „ტელეიმედის“ გენერალური დირექტორის პოსტზე. თითოეული ჩვენგანი - ერთი მხრივ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის და „ტელეიმედის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და, მეორე მხრივ, ბატონი ბეითსი მივიჩნევთ, რომ დენ ბეითსის მიერ „ტელეიმედში“ გატარებულმა დრომ შეუფასებელი გამოცდილება შესძინა ახლად დაბრუნებული „ტელეიმედის“ პირველი წლის საქმიანობას. ამასთან, დავძენთ, რომ ბატონი ბეითსი კვლავაც განაგრძობს „ტელეიმედთან“ თანამშრომლობას, როგორც ტელეკომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი,“ - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს 4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100% -იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51

ტ: 2 75 24 58

გიორგი მარგველაშვილი დიცსა და დვანში პროვოკაციის საშიშროებას უფრთხის

პირველი გვერდიდან

ეს ეწინააღმდეგება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს, საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ღობეების აღმართვა ასევე ზიანს აყენებს მხარეებს შორის ნდობას და საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს უქმნის სირთულეებს. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, მოშალოს დაბრკოლებები და ქართულ კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები გამოიყენოს,“ - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის მოადგილემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავის მხრივ, განცხადებას ავრცელებს, სადაც უწყება კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას მტკიცე საერთაშორისო მხარდაჭერის მნიშვნელობაზე საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართებისა და ღობეების უკანონო დამონტაჟების აღკვეთისა და შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის დაძლევის მიზნით.

საქართველოს საგარეო უწყება ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ქეთრინ ეშტონის განცხადებებს მიესალმება.

განცხადებაში ნათქვამია, რომ რასმუსენი და ეშტონი გმობენ საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების გავლებას და მოუწოდებენ რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნური ბარიერების აგება. ამასთან, ნატო-ს გენერალური მდივანი მიმართავს რუსეთს, გააუქმოს საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. „დამოუკიდებლობის“ აღიარების გადაწყვეტილება.

საოკუპაციო ზოლთან არსებული ვითარების შესახებ განცხადებას ავრცელებს შინაგან საქმეთა სამინისტროც. განცხადების თანახმად, ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში უსაფრთხოების ერთადერთ გარანტორს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს.

„ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებაზე რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების მონტაჟის პროცესი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დაიწყო. აღნიშნული პროცესი 2009-2012 წლებში ეტაპობრივად გაგრძელდა გორის, ქარელისა და კასპის რაიონების სოფლებში.

მავთულხლართების, ღობეებისა და მიწათხრილების მოწყობის პროცესმა ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში ინტენსიური ხასიათი შეიძინა 2013 წელს და სწრაფი ტემპით გაგრძელდა გორის, ქარელის, ახალგორისა და ზუგდიდის რაიონების სოფლებში.

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ამ უკანონო ქმედებების დაწყების მომენტიდან შსს, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, სისტემატურად განიხილავს აღნიშნულ პრობლემას და მას უპირველეს საკითხად აყენებს, როგორც ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის (იპრმ), ასევე ჟენევის დისკუსიების ფორმატის ფარგლებში.

ზემოთ აღნიშნული საკითხის განხილვისას, ჟენევისა და იპრმ-ს ფორმატებში გამართულ შეხვედრებზე, ოკუპირებული რეგიონების დე ფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების მხრიდან გაწეული წინააღმდეგობის მიუხედავად, შსს კვლავაც აგრძელებს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის გამოყენებას, რათა ადგილზე მოხდეს სტაბილურობის უზრუნველყოფა და თავიდან იქნეს აცილებული ვითარების ესკალაცია,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, შსს-ში ამბობენ, რომ უწყება, აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში ჩართულ სხვა სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ოკუპაციის ხაზთან შექმნილი ვითარების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის მაქსიმალურ ინფორმირებას ახორციელებს, რაც მიზნად ისახავს პარტნიორ სახელმწიფოთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვი აცხადებს, რომ დვანის მოსახლეობას სოციალური დახმარება ბიძინა ივანიშვილის მიერ ხელმოწერილი დადგენილების შემდეგ შეუწყდა.

ბარნოვის თქმით, ის დვანში იმყოფებოდა, რათა სიტუაციას გაცნობოდა და იმ სამ ოჯახს დახმარებოდა, რომლებიც გამოასახლეს.

„მათთვის, ადმინისტრაციის სახელით, სურსათ-სანოვაგე ჩავიტანე და სრულიად შემთხვევით თავზე წამოვადექი ამ მთავრობის უსაქმურ მინისტრს, რომელიც რაღაც სპექტაკლს დგამდა. მივედი, რომ პასუხი მომეთხოვა კითხვაზე, რატომ შეუწყდა ამ სოფლის მოსახლეობას სოციალური შემწეობები, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების დროს, ყოველგვარი ქულების დაანგარიშების მიუხედავად, ე.წ. საზღვრისპირა სოფელს, მოსახლეობას ეძლეოდა. მინისტრმა უკვე ტრადიციადქცეული სიცრუე იკადრა და გამოაცხადა, რომ თითქოს ჩვენი ხელისუფლების დროს იყო დათქმული რაღაც თარიღი, რომლის შემდეგაც დვანის მოსახლეობას შემწეობა არ უნდა მისცემოდა. მინდა, გაჩვენოთ ის დოკუმენტი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი აწერს ხელს და რომლის გამოცემის შემდეგაც დვანის მოსახლეობას სოციალური დახმარება შეუწყდა,“ - აღნიშნა ანდრო ბარნოვმა.

მისივე თქმით, ამ მთავრობას ურცხვი ტყუილები დასჩემდა.

„ამ კვირაში უკვე მესამე ტყუილია. მარტო ლაზიკა რად ღირს. ასევე, შს სამინისტროში დღევანდელი ბრიფინგი რამდენად დამაჯერებელია, არ ვიცი. მძიმე რეალობაში ვართ. მოვიდა მთავრობა, რომელიც ტყუილებით ცხოვრობს და ასე აგრძელებს ცხოვრებას. ქვის ხანაში არ ვართ, არსებობს ინტერნეტი და სხვა საშუალებები, სადაც ინფორმაციის მოპოვებაც შეიძლება და ეს დადგენილებაც სწორედ აქ არის გამოქვეყნებული. რომ მოდიხარ და თავხედურ ტყუილებს მეუბნები, რა გგონია? მე იქვე ვთქვი, რომ ეს სიცრუეა და სად აპირებენ ამ ტყუილის გაყიდვას?“ - განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა.

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი კი ამბობს, რომ დიცსა და დვანში პროვოკაციის საფრთხე არსებობს, რის გამოც იქ ჩასვლას განსაკუთრებით ფრთხილობს.

„დიცსა და დვანში არსებული ვითარება უაღრესად ფაქიზია. ვხედავ პროვოკაციის საშიშროებას, განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში. თუ წასვლას გადავწყვეტ, ამას ავწონ-დავწონი არა მხოლოდ ემოციით, არამედ იმ ვითარებით, რაც იქ არის, ხომ არ არის საშიშროება პროვოკაციისა და ხომ არ შეიძლება სირთულე მოჰყვეს, როგორც იქაური მოსახლეობისთვის, ასევე მთლიანად სამშობლოსთვის,“ - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

კონსტანტინე კუბლაშვილი პარლამენტს ინიციატივით მიმართავს

პირველი გვერდიდან

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე პარლამენტს მიმართავს და პროექტის განხილვის დროებით შეჩერებას სთავაზობს. ამავდროულად, სასამართლო ხელისუფლება პარლამენტს ინფორმაციას მიაწვდის, რომ, სულ მცირე, აპრილამდე სასამართლო სისტემაში ახალი მოსამართლეები არ დაინიშნებიან და ამით თავიდან იქნება აცილებული პრობლემა, რომელსაც კონსტიტუციის ნორმის ამოქმედების შემდეგ მოსამართლეების დანიშვნის წესით გამოწვეული გაურკვევლობა შექმნის. **„15 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის საბჭო კენჭს უყრის იმ კანდიდატებს, რომლებიც მოსამართლეებად, მოქმედი წესით, ათი წლის ვადით ახლა დაინიშნებიან. ამის შემდეგ უკვე აღარც ადამიანური რესურსი იარსებებს და აღარც საჭიროება იმისა, რომ სასამართლო სისტემაში ახალი მოსამართლეები დაინიშნონ,“** - აზუსტებს კოტე კუბლაშვილი. მისი თქმით, 5 თვის განმავლობაში კი, პარლამენტთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად, სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანშეწონილობის შესახებ დეტალური მსჯელობა გაიმართება.

«ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატ დავით ბაქრაძის შეფასებით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება კომპრომისულია. საპარლამენტო უმცირესობა მზად არის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივას შეუერთდეს. ამასთან, ბაქრაძეს მიაჩნია, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა სასამართლოს დამოუკიდებლობას ხელს შუწყობს.

ბაქრაძემ იმედი გამოთქვა, რომ უმრავლესობა კუბლაშვილის შეთავაზებას დიდი სულისკვეთებით გაიზიარებს.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:

მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)

სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

შსს-ს ინფორმაციით, „ჯიჰადის„ ვიდეოების საქმე გახსნილია

პირველი გვერდიდან

სამარ ჩოკუტაევს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა.

შსს-ს ინფორმაციით, ჩოკუტაევი სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი - 1989 წლის 6 მარტს დაბადებული ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს.

მის მიმართ დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე პრიმა მუხლით.

სამარ ჩოკუტაევს ბრალი დაედო „საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელებაში ტერორისტული აქტის ჩადენისკენ მოწოდების მიზნით, რაც წარმოშობს ასეთი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილია, რომ ბრალდებული სამარ ჩოკუტაევი მაღალი კვალიფიკაციის IT სპეციალისტია და მან დანაშაული საქართველოს არაკოტროლირებად ტერიტორიაზე ჩაიდინა. კერძოდ, 2013 წლის 4 ივნისს ბრალდებულმა სამარ ჩოკუტაევმა ინტერნეტსივრცეში მომხმარებელ Hammad Zaman-ის სახელით განათავსა ვიდეორგოლი, რომელიც შეიცავს ავღანეთში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას,“ - განაცხადა გიორგობიანმა.

მისი ინფორმაციით, ტექნოლოგიის დეტალური შესწავლისა და სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულს არ დასჭირვებია რომელიმე ქართული ტელეკომპანიის ვიდეოარქივთან უშუალო ანუ ფიზიკური წვდომა. გიორგობიანის განმარტებით, კვალის დაფარვის მიზნით სამარ ჩოკუტაევმა ქართული GSM ოპერატორების (მაგთიკომი, ჯეოსელი, მობიტელი) USB ინტერნეტმოდემები გამოიყენა.

„ვიდეომასალა, რომელიც გამოყენებულია მუქარის შემცველი ვიდეორგოლის შესაქმნელად, მოპოვებულია თავისუფალი წვდომის ინტერნეტსივრცეში, რგოლი შექმნილია ამ ვიდეომასალის დამონტაჟების შედეგად და მის დასამზადებლად ავტორს არ დასჭირვებია რომელიმე ქართული ტელეკომპანიის ვიდეოარქივთან უშუალო ანუ ფიზიკური წვდომა; დანაშაული ჩადენილია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან.

კვალის დაფარვის მიზნით სამარ ჩოკუტაევმა გამოიყენა ქართული GSM ოპერატორების (მაგთიკომი, ჯეოსელი, მობიტელი) USB ინტერნეტმოდემები. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამივე GSM ოპერატორის სიხშირე, თავად ანძები კი, რომლებითაც ბრალდებული სარგებლობდა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული,“ - განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

მისივე თქმით, სამარ ჩოკუტაევმა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან, მალაიზიაში წინასწარ მომზადებული სერვერის გამოყენებით, დაშიფრული ხაზით შეაღწია თბილისში, ორ სხვადასხვა მისამართზე მდებარე კერძო სტრუქტურათა ოფისების ინტერნეტქსელში და კვალის არევის მიზნით, მუქარის შემცველი ვიდეორგოლი აღნიშნულ ოფისებში განთავსებული როუტერების გამოყენებით იმგვარად ატვირთა, რომ შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაული ამ ოფისების მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი.

„შეგახსენებთ, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე სწორედ თბილისში განთავსებული IP მისამართები იქნა იდენტიფიცირებული ქართველი სამართალდამცველების მიერ,“ - აღნიშნა გიორგობიანმა.

ამჟამად ბრალდებული, როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ იძებნება.

„გამოძიება გრძელდება და მისი შედეგების კვალდაკვალ, შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს მოქალაქეთა ინფორმირებას ამ საქმის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტრო მადლობას უხდის მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებს ამ საქმის გამოძიებაში გაწეული ქმედითი დახმარებისთვის,“ - განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

აღსანიშნავია, რომ სამარ ჩოკუტაევზე ინტერნეტსივრცეში არც თუ მცირე ინფორმაცია იძებნება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, „ასეთი დონის“ IT სპეციალისტები, უფრო სწორად, კიბერკრიმინალები, სოციალურ ქსელებში არ რეგისტრირდებიან - ეს მათთვის, ასე ვთქვათ, დაუწერელი კანონია. თუმცა, როგორც ჩანს, სამარ ჩუტკოევი ან ამ „კანონებს“ არ ემორჩილება ან ის სულაც არ არის ისეთი მაღალი დონის კიბერკრიმინალი, როგორადაც მას საქართველოს შს სამინისტრო მიიჩნევს. მაგრამ, თუ ჩუტკოევი მაღალი დონის IT სპეციალისტი არ არის და „საქმე“ მაღალ დონეზე არ ჰქონდა შესრულებული, რატომ დასჭირდა შს სამინისტროს ამდენი დრო ასეთი მნიშვნელოვანი საქმის გამოსაძიებლად, მით უმეტეს, რომ გავრცელებული ინფორმაციით, მას FBI ეხმარებოდა?

მოკლედ, სამარ ჩოკუტაევი სოციალურ ქსელში „ვკონტაქტე“ და „ფეისბუქში“ არა მხოლოდ დაუფარავი სახელით იძებნება, არამედ ის სამუშაო ადგილს, დაბადების თარიღს და პირად ფოტოებსაც კი არ მალავს.

ჩოკუტაევს პროფილზე სამუშაო ადგილად მითითებული აქვს კომპანია „აქუაფონი“, რომელიც აფხაზეთის მობილური კავშირგაბმულობის კომპანიაა.

დაბადების თარიღად მითითებულია 1989 წლის 6 მარტი, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ მონაცემებს ემთხვევა.

ჩოკუტაევი სოხუმში ცხოვრობს და მას სოციალურ ქსელში სამსახურში ადგილზე გადაღებული ფოტოებიც აქვს გავრცელებული.

ამასთან, საიტზე http://www.it.kg გამოქვეყნებულია ინფორმაცია (და ფოტოც ერთვის), რომლის მიხედვით, სამარ ჩოკუტაევი ცენტრალური აზიის ქვეყნების IT სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ერთ-ერთი ტრენერი იყო.

კურსი 2012 წლის 6 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით ყირგიზეთში გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ IT სპეციალისტები ყაზახეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან და ასევე სამი სპეციალისტი ავღანეთიდან.

ინფორმაციული უსაფრთხოების ექსპერტ ხათუნა მშვიდობაძის განცხადებით, კიბერკრიმინალები, ძირითადად, საიდუმლო ფორუმებზე აქტიურობენ, თავის იდენტობას მალავენ და ნაკლებად არიან „ფეისბუქზე“ თუ სხვა სოციალურ ქსელებში.

„პიროვნებაზეა დამოკიდებული, რამდენად ასაჯაროებს ვინაობას. ზოგადად, მსგავსი კრიმინალები თავის იდენტობას მალავენ და ნაკლებად არიან ღია სოციალურ ქსელებში. ძირითადად, დაფარულ, საიდუმლო ფორუმებზე აქტიურობენ და არა ისეთ სოციალურ ქსელებში, როგორიც არის „ფეისბუქი“ და ა.შ.“ - აცხადებს მშვიდობაძე „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

მისივე თქმით, დასკვნა, რომელიც შს სამინისტრომ წარმოადგინა, ძალიან ზოგადია მშვიდობაძის განმარტებით, ვიდეოს გავრცელების შემდეგ საზოგადოებაში იყო მოსაზრება, რომ ვიდეოს დამზადებაში ტელეკომპანია „პიკ“-ის საარქივო კადრები იყო გამოყენებული, დღეს კი ცნობილი გახდა, რომ ვიდეო მთლიანად ღია ინტერნეტსივრციდან აღებული მასალით არის შედგენილი.

„შს სამინისტრო აცხადებს, რომ მასალა, რომელიც გამოყენებული იყო ამ ვიდეოს შესაქმნელად, ეყრდნობოდა ღია წყაროებს. რამდენადაც მახსოვს, როდესაც ეს ვიდეო გავრცელდა, მაშინ არსებობდა რამდენიმე მოსაზრება, თითქოს შავი მასალა იყო გამოყენებული „პიკ“-ის საარქივო მასალებიდან. თუ ეს შავი მასალა იყო გამოყენებული, მაშინ ერთგვარად ჩნდება კითხვა, როგორ იყო ვიდეო შედგენილი მხოლოდ ღია წყაროებზე დაყრდნობით,“ - აღნიშნა მშვიდობაძემ.

მისივე თქმით, თუ საგამოძიებო უწყებებს მაღალტექნოლოგიური საგამოძიებო საშუალებები აქვთ, ასეთ საქმეზე გამოძიება მარტივდება.

„რამდენადაც ვიცით, ჩვენს სამართალდამცველებს FBI ეხმარებოდა. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ამ საქმის გამოძიება და იმ პირის იდენტიფიცირება, რომელმაც ვიდეო ატვირთა. გაარჩინა, რა დონის ტექნიკური შენიღბვითი მექანიზმები ჰქონდა გამოყენებული ამ პირს და ვნახეთ, რომ ეს მექანიზმები მას გამოყენებული ჰქონია. თუკი გაქვს მაღალი ტექნიკური უნარი და ძალიან მაღალ დონეზე ასრულებ უკუსვლითი ინჟინერიის მეთოდს, ამ შემთხვევაში პირდაპირ იმ პირის IP მისამართამდე მისვლა და პირის იდენტიფიცირება აბსოლუტურად შესაძლებელია,“ - განაცხადა მშვიდობაძემ.

მისივე თქმით, ის მეთოდები, რომლებიც, შსს-ს ინფორმაციით, სამარ ჩოკუტაევმა გამოიყენა, კიბერკრიმინალებში აპრობირებულია.

„მეთოდებს, რომლებზეც შს სამინისტრო საუბრობს, ჩვეულებრივად იყენებენ ხოლმე. ძალიან ბევრია შენიღბვის საშუალება, რომლებიც შეიძლება, პირმა გამოიყენოს. ჩვეულებრივად აპრობირებული მეთოდია და კიბერკრიმინალები ძალიან ხშირად იყენებენ,“ - განაცხადა მშვიდობაძემ.

სამხედრო ექსპერტებს კი ე.წ. „ჯიჰადის“ საქმეში უცხოური სპეცსამსახურების კვალს ხედავენ.

ექსპერტი ვახტანგ მაისაია ამ შემთხვევაში ქართულ კვალსაც ხედავს. მაისაია აცხადებს, რომ ქართული კვალი ლოკალურად იკვეთება.

„შემკვეთი დაუდგენელია. ეს ადამიანი ჩვეულებრივი შემსრულებელია თავისი ბექგრაუნდით და წარმომავლობით. ამ ადამიანზე გავიდნენ კონკრეტული მეკავშირეები. რა ძალები დგას მის უკან, გაურკვეველია. ჩანს ქართული კვალის ეფექტი, რაც შეიძლება, ლოკალურად ფიქსრდებოდეს. ანუ, ვინ მიაწოდა ამ ადამიანს ქართული კომპანიების ჩამონათვალი. ლოკალურ დონეზე, წინასწარ შეიძლება ითქვას, ქართული კვალის მომენტები იკვეთება,“ - აცხადებს მაისაია.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებით. ე.წ. ჯიჰადის ვიდეოს საქმეზე გამოძიება გაგრძელდება და შემდგომი ეტაპია იმის დადგება, თუ ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან და რა ზრახვები ჰქონდა.

დეპუტატის შეფასებით, აღნიშნული საქმე ერთ-ერთი ურთულესი იყო და გამოძიების წარმატებით წარმართვამ დაამტკიცა, რომ საქართველოს შსს-ს რთული საქმეების გახსნა შეუძლია.

„მინდა, მოსახლეობას ავუხსნა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი საქმე საქართველოს ისტორიაში. მის გამოძიებაში საერთაშორისო ექსპერტები იყვნენ ჩართულები, შესაბამისმა ორგანოებმა საუკეთესო უნარ-ჩვევები გამოავლინეს და ამ საქმის გახსნა მოახერხეს. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა - გარდა იმისა, რომ ჭეშმარიტება დადგინდა, დავამტკიცეთ, რომ ასეთი რთული საქმეების გახნა შეგვიძლია,“ - აღნიშნა დეპუტატმა.

ირაკლი სესიაშვილის აზრით, აღნიშნული ვიდეოს გავრცელებას **„ძალიან ბოროტი ზრახვები ჰქონდა“.**

„ამ ვიდეოთი ჩვენს მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ ზეწოლა ხორციელდებოდა, რათა გვეფიქრა, რამდენად სწორია ჩვენი მონაწილეობა ავღანეთის სამშვიდობო მისიაში, რამდენად სწორია ევროატლანტიკური მისწრაფებები. ამ საქმის გახსნით პრევენციულად დავარტყით ძალებს, რომლებიც შეიძლება, მომავალშიც ფიქრობდნენ მსგავსი თავდასხმების განხორციელებას, ჩვენი მოსახლეობის დატერორებას. მეტსაც გეტყვით, ჩვენ არა მარტო ამ საქმიდან გამომდინარე, არამედ კიბერუსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებს გავაძლიერებთ და განვავითარებთ. მთელ რიგ უწყებებში დაინერგება და გაძლიერდება უსაფრთხოების სისტემები,“ - განაცხადა დეპუტატმა.

სესიაშვილი არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული საქმე ორგანიზებული იყო, თუმცა, დეპუტატის განმარტებით, **„გამოძიება ითხოვს კონკრეტული ფაქტების დადგენას, დასკვნის გაკეთებას და არა - ვარაუდებს.“**

„გამოძიებამ გარკვეულ ეტაპზე წარმატებას მიაღწია. მთელ რიგ შეკითხვებს გაეცა პასუხები, მაგრამ გამოძიება უნდა გაგრძელდეს, ვიდრე ეს პირი არ იქნება დაკავებული და არ დადგინდება, ვინ იდგა ამ ბოროტი ზრახვის უკან, ვინ იყო შემკვეთი. ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, პასუხი ჯერ არ არის გაცემული. ჩვენ ვხვდებით, რომ გონივრულ, ბოროტ განზრახვასთან გვქონდა საქმე, რომელმაც რამდენიმე თვე იმუშავა საქართველოს მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ტერორის განსახორციელებლად. პირადად მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს ორგანიზებული იყო, მაგრამ ეს რომ დადგინდეს, უნდა გატარდეს შემდგომი ღონისძიებები იმის გასარკვევად, თუ ვინ იდგა ამის უკან და რა ზრახვები ჰქონდა. ჩვენ შეიძლება, ვარაუდები გამოვთქვათ, მაგრამ გამოძიება ითხოვს არა ვარაუდებს, არამედ კონკრეტულ ფაქტებს და დასკვნებს,“ - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, „თუ საქმე გარკვეული ნიშნით პოლიტიკურ შემადგენელს შეიცავს, მისი გავრცელება შეიძლება, გარკვეული დროით შეფერხდეს.“

„საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა. უნდა ითქვას, რომ ესა თუ ის გამოძიება, რომელიც დასრულდება, საზოგადოებას შესაბამისად, გონივრულ ვადაში უნდა ეუწყოს და ეს დამოკიდებულია ამა თუ იმ საქმეზე. თუ საქმე გარკვეული ნიშნით პოლიტიკურ შემადგენელსაც შეიცავს, მაშინ მისი გავრცელება შეიძლება, გარკვეული დროის თვალსაზრისით შეფერხდეს, ვიდრე არ დადგინდება ან დაზუსტდება რაღაც პარამეტრები. ასე რომ, გონივრულობა ინფორმაციის გავრცელებისა ამ პირობითაა გამოწვეული. შესაბამისად, ამ ინფორმაციის გავრცელება გონივრულ ვადაში მოხდა,“ - განაცხადა კბილაშვილმა.

მთავარი პროკურორი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადება, სადაც მან მწუხარება გამოთქვა საქმის გამოუძიებლობის გამო, შს სამინისტროსთვის დამაჩქარებელი ფაქტორი გახდა.

„ის დოზა ინფორმაციის, რაც მოგეწოდათ, საჯაროდ გავრცელებისთვის განკუთვნილი ინფორმაციაა. ყველა დანარჩენი ამ საქმის თავისებურების გამო საქმეში რჩება და კვლავინდებურად, თუკი დამატებით რამე სიახლე იქნება, შსს საზოგადოებას მიაწვდის,“ - განაცხადა კბილაშვილმა.

მისი თქმით, პროკურატურა ამ საქმეზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს.

„ჩვენს უწყებას გააჩნია ერთი კონკრეტული ნიშა, ეს არის საპროკურორო ზედამხედველობა. გამოძიებას სამინისტრო აწარმოებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სრულად ახორციელებს ყველა ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას, გეგმავს საგამოძიებო მოქმედებებს და ბუნებრივია, ჩვენი უწყება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებაზე საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს. უმეტესი ხვედრითი წილი ამ გამოძიებაში შსს-ს ეკუთვნის, სწორედ ამიტომ აუწყა მან საზოგადოებას მომხდარის შესახებ,“ - განაცხადა კბილაშვილმა.

გამოძიებას არადამაჯერებელს უწოდებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანდრო ბარნოვი.

ბარნოვის განცხადებით, შსს სხვადასხვა ვერსიებს იგონებს, რათა საზოგადოება დააჯერონ, რომ ამ საქმის სრულად გახსნა შეუძლებელია.

„თუ ეს საქმე ერთი თვის წინ გახსნეს, რას ელოდებოდნენ? მარტო მე ამ თემაზე ბრიფინგი 5-6-ჯერ ჩავატარე. ის ვერსია, რომელიც შს სამინისტრომ მოგვაწოდა, ტყუილია. როგორ შეიძლება ამის დაჯერება, ერთი თვის წინ გახსნეს საქმე და დაავიწყდათ? სინამდვილეში, სულ სხვა ამბავია, მთავრობაში შიდა კონკურენციაა და ამ ყველაფერში ჩვენ ვიჭყლიტებით,“ - აღნიშნა ბარნოვმა.

«თალიბანის“ სახელით გავრცელებული ვიდეორგოლების საქმის გახნას თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას უკავშირებს საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი და აღნიშნავს, რომ საქმის მიმართ ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება.

„ამ საქმის მიმართ ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება. რატომ დასჭირდა ამხელა დრო ამ საქმის გამოძიებას, რატომ არის დაფარული ის კომპანია, რომლის სახელითაც იყო გაგზავნილი და რატომ ფარავდა ერთი თვის განმავლობაში შსს ამ ინფორმაციას. ასევე, გარკვეულწილად სკანდალურია ის, რომ ეს ინფორმაცია მხოლოდ მას შემდეგ გახმაურდა, რაც თავდაცვის მინისტრმა განცხადება გააკეთა. ამიტომ ამ მიმართულებით ბუნდოვანება კიდევ უფრო დამძიმდა,“ - ამბობს რატიანი და დასძენს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს ის ქართული კომპანიები, რომლებიც დამნაშავემ გამოიყენა.

ქართულ კომპანიებში „მაგთიკომში“, „ჯეოსელსა“ და „ბილაინში“ ამბობენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადამცემები არ გააჩნიათ.

„ბილაინის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ თეონა ბაღდავაძის ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე „ბილაინით“ სარგებლობა შეუძლებელია, თუმცა საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან სიგნალის გავრცელება გამორიცხული არ არის.

„მაგთიკომში“ კი ამბობენ, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბიზნესის წარმოება ეკრძალებათ.

რაც შეეხება „ჯეოსელს“, კომპანიაში არ გამორიცხავენ, ქსელით სარგებლობა აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე შესაძლებელი იყოს, თუმცა კომპანიას იქ გადამცემი არ გააჩნია.

„ჯეოსელის“ ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ რუკაზე კი მითითებულია, რომ სიგნალის მიღება შესაძლებელია გალსა და ოჩამჩირეში.

ამასთან, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბიზნესის წარმოების ამკრძალავი ნორმის გათვალისწინებით, საქართველოს მობილური ოპერატორების ინტერნეტმოდემების შეძენა მხოლოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზეა შესაძლებელი.

ქიმიური იარაღის ინსპექციის ჯგუფმა სირიაში მუშაობა დაიწყო

«ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ქიმიური იარაღის განადგურების სპეციალისტების ჯგუფმა სირიაში პირველი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. სპეციალისტები იქ სამშაბათს ჩავიდნენ. იმავე დღესვე მათ სასტუმროსთან ახლოს ნაღმი აფეთქდა. სასტუმრო «Four Seasons“ დამასკოს იმ რაიონში მდებარეობს, რომელიც ყველაზე უკეთესად არის დაცული. როგორც აღნიშნავენ, ინსპექტორებს განსაკუთრებით მძიმე მუშაობა იმ რაიონებში მოწევთ, რომლებსაც სირიის მთავრობა არ აკონტროლებს.

როგორც გაეროს განცხადებაშია ნათქვამი, უახლოეს დღეებს ინსპექტორები «სირიის ხელისუფლებისგან ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღის შესახებ ინფორმაციის მოგროვებასა და ამ იარაღის განადგურების დაგეგმვაში გაატარებენ. ეს პროცესი კი 1 ნოემბრისათვის დასრულდება.“

ამ თემას ოთხშაბათს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გამოეხმაურა. მან განაცხადა, რომ სირიის ქიმიური იარაღის განადგურების გეგმის მხრივ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები სწორ გზას ადგანან. მისი თქმით, თუ ეს ქვეყნები ერთად იმუშავებენ, სამხედრო ინტერვენციის თავიდან აცილება შესაძლებელია.

სირიის ქიმიური იარაღის განადგურების შესახებ შეთანხმება მას შემდეგ შედგა, რაც ამერიკას სირიაზე სამხედრო დარტყმის განხორციელება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ჰქონდა. ამერიკამ სამხედრო დარტყმაზე ფიქრი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს ქიმიური გაზის გამოყენებას 14-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. «ყველა მიზეზი არსებობს, ვიფიქროთ, რომ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ,“ - განაცხადა პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ქიმიურ იარაღთან დაკავშირებული გეგმა ობამასა და სხვა ქვეყნების ლიდერების მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

ლიბიაში რუსეთის საელჩოს თავს დაესხნენ

ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში რუსეთის საელჩოს თავს დაესხნენ. «ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, საელჩოს შენობასთან ახლოს სროლის ხმები ისმოდა. «წინასწარი ინფორმაციით, რუსეთის საელჩოს თანამშრომლები არ დაშავებულან. მომხდარის დეტალები დგინდება,“ - საუბარია რუსეთის დიპლომატიური უწყების განცხადებაში. თვითმხილველების თქმით, თავდასხმა, შესაძლოა, ადგილობრივი მცხოვრების მკვლელობას უკავშირდება. ერთ-ერთი ინფორმაციით, მას რუსეთის ან უკრაინის მოქალაქე ქალმა ესროლა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ლიბიელმა სამართალდამცავებმა საელჩოზე თავდასხმის მოგერიებისას რამდენიმე ადამიანი დაჭრეს, რომელთაგან ერთი თუ ორი შემდეგ გარდაიცვალა.

ამერიკა და იაპონია სამხედრო ალიანსის გაფართოებაზე შეთანხმდნენ

ხუთშაბათს ამერიკა და იაპონია, 16 წლის განმავლობაში პირველად, სამხედრო ალიანსის მოდერნიზებაზე შეთანხმდნენ, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის, გლობალური ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოების და 21 საუკუნის სხვა გამოწვევების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ამერიკა-იაპონიის თავდაცვითი ალიანსის მოდერნიზება ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომელიც ერაყსა და ავღანეთში მრავალწლიანი ომების შემდეგ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში სტრატეგიული ბალანსის აღდგენას გულისხმობს. «ჩვენი მიზანია უფრო დაბალანსებული და ეფექტური ალიანსის მიღება,“ - განაცხადა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა.

ტოკიოში გაიმართა შეხვედრა «2+2“, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი, თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფუმიო კიშიდა და თავდაცვის მინისტრი იცუნური ონოდერა. მინისტრები კიოტოს პრეფექტურაში არსებულ საჰაერო ბაზაზე ახალი ამერიკული სარადარო სისტემის განლაგებაზე შეთანხმდნენ. ამასთან, 5000 ამერიკელი სამხედრო ოკინავადან გუამზე გადაინაცვლებს.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვულმა და სარაკეტო პროგრამებმა რეგიონში ამერიკის მოკავშირეები საფრთხის ქვეშ დააყენა. ჩრდილოეთ კორეა ამ წლის დასაწყისში ამერიკის ბაზებზე დარტყმითაც იმუქრებოდა. ამის შემდეგ გუამზე ახალი ანტისარაკეტო რადარის დაყენების შესახებ გაკეთდა განცხადება.

კოლუმბიაში ერთსქესიანთა პირველი ქორწინება გააუქმეს

კოლუმბიის სასამართლომ ქვეყანაში ერთსქესიანთა პირველი ქორწინება არაკოსტიტუციურად გამოაცხადა. ახლა საქმე განსახილველად კონსტიტუციურ სასამართლოს გადაეცემა. «ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, კოლუმბიის კონგრესმა ორი წლის წინ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შესახებ კანონპროექტი დაბლოკა. ამის შემდეგ კოლუმბიის საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლებს 2013 წლის 20 ივნისამდე მისცა ვადა, რათა მათ ერთსქესიანი წყვილებისთვის ისეთივე უფლებები მიენიჭებინათ, რომლებითაც განსხვავებულსქესიანი წყვილები სარგებლობენ. ვინაიდან მიცემული ვადა ამოიწურა და კონგრესმა გადაწყვეტილება არ მიიღო, ფორმალურად ერთსქესიან წყვილებს კოლუმბიაში დაქორწინების უფლება აქვთ.

მოამზადა თამთა კახაძემ

ამერიკაში ბიუჯეტზე ისევ ვერ თანხმდებიან

პირველი გვერდიდან

ჯონ ბონერი

დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც შექმნილ მდგომარეობაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა რესპუბლიკელების კონსერვატორული ფრთის „სიჯიუტის“ გამო გაღიზიანებას ვერ მალავს და დათმობაზე წასვლას არც თვითონ აპირებს. მისი აზრით, რესპუბლიკელებმა ამერიკის ეკონომიკა მძევლად აიყვანეს და ქვეყანა დეფოლტის წინაშე დააყენეს, რაც შეიძლება, კატასტროფული შედეგებით დამთავრდეს არა მხოლოდ ამერიკისთვის. ის უკვე, რესპუბლიკელების გარდა, მსხვილ ბიზნესსაც „აშინებს“. პრეზიდენტის სიტყვებით, მსხვილი ბიზნესი შეშფოთებული უნდა იყოს იმით, რომ რესპუბლიკელების კონსერვატიული ფრთა მზად არის, ქვეყანა დეფოლტამდე მიიყვანოს. ოთხშაბათს ობამა შეხვდა რამდენიმე უმსხვილესი ბანკის ხელმძღვანელებს უოლ სტრიტიდან, კერძოდ: „JPMorgan Chase»-ის, «Goldman Sachs“-ის, „Bank of America“-ს „Morgan Stanley“, „Citigroup“-ის „HSBC“-ის და „Deutsche Bank“ წარმომადგენლებს. ამ ბანკების ხელმძღვანელები „ფინანსისტთა ფორუმში“ შედიან, რომელმაც კიდევ 250 კომპანიასთან ერთად მოამზადა და კონგრესს გადასცა წერილი თხოვნით, გაზარდონ სახელმწიფო სესხის «ვალის ჭერი» (ეს 17 ოქტომბრამდეა მოსასწრები). ბანკირებმა აღნიშნეს, რომ მათ სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებები აქვთ, მაგრამ ეკონომიკური ვარდნა აშინებთ და პოლიტიკოსებს მოუწოდებენ, უკიდურესობამდე არ მიიყვანონ საქმე. მათი სიტყვებით, ორივე მხარეს კარგად ესმის, თუ რა დევს სასწორზე.

აშშ-ს პრეზიდენტი ობამა აცხადებს, რომ რესპუბლიკურ ოპოზიციასთან ბიუჯეტის პარამეტრებზე მოლაპარაკებების წარმოებას მანამდე არ აპირებს, სანამ კონგრესი არ დაამტკიცებს თუნდ დროებით ბიუჯეტს, არ მისცემს მთავრობას ჩვეულებრივი მუშაობის საშუალებას და არ აწევს სახელმწიფო სესხის ზედა ზღვარს. მიუხედავად ამისა, ის ოთხშაბათს, მოგვიანებით (ჩვენი დროით უკვე ხუთშაბათს), მაინც შეხვდა კონგრესის ხელმძღვანელებს. ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელმა სპიკერმა ჯონ ბონერმა (მისი თანამდებობა მნიშვნელობით მესამეა აშშ-ს იერარქიაში), სენატის რესპუბლიკური უმცირესობის და დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერებმა მიტჩ მაკკონელმა და ჰარი რიდმა, ასევე დემოკრატების ფრაქციის ხელმძღვანელმა წარმომადგენელთა პალატაში ნენსი პელოსიმ. რეალურად უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ჯონ ბონერმა ზრდილობიანად განაცხადა, რომ პრეზიდენტთან გულახდილი საუბარი შედგა, თუმცა შედეგი მიღწეული არ არის. ბონერის სიტყვებით, ობამამ კვლავ გაიმეორა, რომ ბიუჯეტზე მოლაპარაკებებს არ აპირებს. რესპუბლიკელმა სპიკერმა თქვა, რომ მათ დემოკრატებს რამდენიმე წინადადება შესთავაზეს, მაგრამ ყველა უარყოფილია. „ჩვენ ვთხოულობთ მხოლოდ საკითხის ღიად განხილვას და პატიოსან დამოკიდებულებას ამერიკელი ხალხის მიმართ, რომელთაც „Obamacare“ შეეხოთ.

ბონერის და მაკკონელის წარმომადგენლებმა კი უფრო პირდაპირ განაცხადეს, რომ არ ესმით, რისთვის მიიწვია ობამამ კონგრესმენები თეთრ სახლში, თუ მათთან მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებდა. თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა თავის ტრადიციულ ბრიფინგზე ობამას ზემოხსენებული პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა. მისი სიტყვებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას იმედი აქვს, რომ რესპუბლიკელებში საღი აზრი მაინც გაიმარჯვებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და დემოკრატი სენატორები დაწვრილებით და მუქ ფრებში საუბრობენ იმ პრობლემებზე, რაც მთავრობას და ამერიკის უსაფრთხოებას შეუქმნა დაფინანსების შეჩერებამ და ხალხის უხელფასო შვებულებაში გაშვებამ.

უფრო სერიოზული შედეგები შეიძლება ამ კრიზისის ორ კვირაზე მეტი ხნით გაგრძელებამ გამოიწვიოს, როცა კონგრესს სახელმწიფო სესხის ზედა ზღვარის აწევაც სჭირდება. ამის გარეშე მართლა მოსალოდნელია ნაწილობრივი დეფოლტი, რასაც შეიძლება, მსოფლიო ეკონომიკისთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. თუმცა ამაზე დაწვრილებით სხვა დროს ვისაუბრებთ, თუ კრიზისი მანამდე არ მოგვარდება.

ამერიკამ ნახშირწყალბადების მოპოვებაში რუსეთს გაუსწრო

2013 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 1982 წლიდან პირველად, რუსეთს ბუნებრივი გაზის წარმოებაში გაუსწრო. თუმცა ნავთობის მოპოვების მოცულობით ჯერ ცოტა ჩამორჩება. აშშ დღეში 9,9 მილიონ ბარელს მოიპოვებს, ხოლო რუსეთი -10,8 მილიონს. ეს მონაცემები 2013 წლის პირველი ნახევრისაა.

ნავთობის მოპოვებაში მსოფლიოს მასშტაბით ლიდერი კვლავ საუდის არაბეთია - 11,7 ბარელი დღეში. ამ მონაცემებს «უოლ სტრიტ ჯორნალი“ აქვეყნებს ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული ინფორმაციის სამმართველოსა და საერთაშორისო ენერგეტიკულ სააგენტოზე დაყრდნობით. 2013 წლის განმავლობაში აშშ-მ ნავთობი და გაზი ერთად აწარმოა 22 მილიონი ბარელის ეკვივალენტით, როდესაც რუსეთისთვის ეს მაჩვენებელი 21,8 მილიონი ბარელია.

ამერიკაში ნახშირწყალბადების წარმოება ძალიან სწრაფად იზრდება. იქ მოპოვების ახალ ტექნოლოგიებს ითვისებენ. გამოცემის ანალიტიკოსების მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბუნებრივი აირის იმპორტი ბოლო 5 წლის განმავლობაში 32 პროცენტით შემცირდა, ხოლო ნედლი ნავთობის კი - 15 პროცენტით. რამდენადაც აშშ ენერგიის ასეთი მსხვილი მომხმარებელია, ნავთობისა და გაზის საკუთარი მოპოვების გაზრდამ ენერგომატარებლების დიდი მოცულობა გამოათავისუფლა სხვა მომხმარებლებისთვის.

შეერთებულ შტატებში ენერგომატარებლების წარმოების ზრდა გამოიწვია ნავთობის მოპოვების მნიშვნელოვნად გაზრდამ ტეხასისა და ჩრდილოეთ დაკოტას შტატებში მდებარე საბადოებზე, ასევე უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებამ ბუნებრივი აირის მოპოვების სფეროში. თუმცა ახალი ტექნოლოგიები საზოგადოებაში არაპოპულარულია და სიძვირის გამო დამოკიდებულნი არიან ნახშირწყალბადების მაღალ ფასზე მსოფლიო ბაზარზე. მსოფლიო კრიზისის შემთხვევაში ფასებმა შესაძლოა, მკვეთრად დაიწიოს და ფიქალის ბურღვის ძვირადღირებული ტექნოლოგია არარენტაბელური გახდეს. ამას გარდა, ამერიკული კომპანიები დიდ ინვესტიციებს დებენ წარმოებაში და ხშირად - აღებული სესხით. «ბარკლაის“ (Barclays) შეფასებით, მხოლოდ 2012 წელს ამ სფეროში მომუშავე ამერიკულმა კომპანიებმა 50 მილიარდი დოლარი ისესხეს.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა მარია ფან დერ ჰეფენმა აშშ-ს ენერგეტიკულ ბაზარზე შექმნილ მდგომარეობაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: «ჩრდილოეთ ამერიკამ წარმოშვა «მიწოდების შოკი“, რომელიც ტალღებად ვრცელდება მთელს მსოფლიოში. ამაში დადებითი ფაქტორი ის არის, რომ ეს ამშვიდებს ბაზარს, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ მოწყვლად მდგომარეობაში იყო. ტექნოლოგია, რომელმაც ციური მანანას როლი შეასრულა ისეთი რეგიონებისთვის, როგორიც, მაგალითად, ჩრდილოეთ დაკოტაა, შეიძლება და უნდა იქნეს გამოყენებული სხვა ადგილებშიც. ამან შეიძლება, რეზერვების საერთო გადაფასება გამოიწვიოს.“ თუმცა ფან დერჰეფენმა ისიც დასძინა, რომ გავლენის სფეროების გადანაწილებით მსოფლიოში ყველა ვერ მოიგებს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ირანში კიბერომების სპეცსამსახურის უფროსი მოკლეს

ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის (ქვეყნის უმთავრესი სპეცსამსახურების გაერთიანება) მაღალჩინოსანი მოჯტაბა აჰმადი 28 სექტემბერს დაიკარგა და ის მეორე დღეს ქალაქ კარაჯის ახლოს, ტყეში, მოკლული იპოვეს. ეს ქალაქი ალბორზის პროვინციაში მდებარეობს, თეირანიდან ჩრდილო-დასავლეთით. მოჯტაბა აჰმადი იმ სპეცსამსახურის შტაბის უფროსი იყო, რომელიც კიბერომებს აწარმოებს.

სპეცსამსახურების მაღალჩინისანს სხეულზე რამდენიმე ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, აქედან ორი - გულში. ექსპერტიზის დასკვნით, მკვლელებმა მას პისტოლეტით ახლო მანძილიდან ესროლეს. დანაშაულში ეჭვმიტანილებად ორი მამაკაცი მიიჩნევა, რომლებმაც კვირას, ღამით, მოტოციკლით ჩაიარეს იმ ადგილთან ახლოს, სადაც მოგვიანებით მოკლული ოფიცერი იპოვეს.

ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი ცდილობს, მკვლელობის დეტალები არ გაახმაუროს, რათა უსაფრთხოების სფეროში ირანის ინტერესებს ზიანი არ მიაყენოს. ამ ქვეყნის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ეს მკვლელობა შეიძლება, ერთ-ერთი რგოლია იმ მკვლელობების ჯაჭვისა, რომლებიც ირანში გარე ძალებმა ბოლო წლებში განახორციელეს. უშიშროების აპარატში რამდენიმე საკვანძო ფიგურა მოკლეს.

დასავლური გამოცემები იხსენებენ, რომ 2007 წლის შემდეგ 5 ირანელი მეცნიერია მოკლული - ბირთვული ფიზიკის სპეციალისტები, აგრეთვე ბალისტიკური რაკეტების შექმნის პროგრამის ხელმძღვანელი. ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლება ამ მკვლელობებში ისრაელის დაზვერვა «მოსადს“ ადანაშაულებს. ბოლო მსხვერპლი შარშან მუსტაფა აჰმადი როშანი იყო - ქიმიკოსი, რომელიც ნათანზში ურანის გამამდიდრებელ ქარხანაში მუშაობდა. ის მას შემდეგ დაიღუპა, რაც მის მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.

ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის შესაბამისი ქვედანაყოფი აჰმადის მკვლელობის გარშემო სპეკულაციების გავრცელების წინააღმდეგია. ირანში აღნიშნავენ, რომ ჯერ გამოძიება მიმდინარეობს.

ინფორმაციას ასევე სწავლობენ დასავლეთის ოფიციალური პირები, თუმცა აღნიშნავენ, რომ წინა მკვლელობები ირანის უშიშროების ძალებისთვის სერიოზული დარტყმა იყო.

მოამზადა ივა შილაკაძემ

არტისტერიუმი პასუხისთვის კითხვაზე - ვარ მე შენ?

პირველი გვერდიდან

ნამუშევარი აჩვენებს კომუნიკაციის სირთულეს, როცა მხოლოდ საკუთარ ენაზე, სიტყვების ფორმალურობაზე და კულტურულ ან ქცევით (behavioral) სტერეოტიპებზე ხარ კონცენტრირებული, ან როდესაც სუბიექტის მიღება-არმიღება წინასწარგანწყობით შემოიფარგლება. თემა, რომელიც ერთი არტისტის ერთ ნამუშევარში ვიწრო კონტექსტით განვითარდა, მთელი ფესტივალისთვის შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

განსხვავებულის, უჩვეულოს, გაუგებრის მიღება-არმიღება დღევანდელობის მნიშვნელოვანი პრობლემაა. უამრავი ფილოსოფიური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური თეორია აღწერს ჩვენს დამოკიდებულებას ეროვნებების, რელიგიების უმცირესობების, განსხვავებულად მოაზროვნეთა, გვერდით მყოფი ადამიანის - «სხვის» მიმართ. როგორც ჟაკ დერიდა ამბობს: «სხვას ვერასოდეს გაიგებ როგორც თანყოფნას (presence).... «სხვას» ყოველგვარი კავშირი აქვს გაწყვეტილი თანყოფნის ფენომენოლოგიურ მეტაფიზიკასთან - «სხვას» ვერასოდეს გაიგებ თეორიულ აქტში; ეს მხოლოდ ეთიკური პასუხისმგებლობის მეშვეობითაა შესაძლებელი: მე ვიღებ პასუხისმგებლობას სხვაზე».

1998 წელი. ილიკო ზაუტაშვილის პერფორმანსი

ეთიკური პასუხისმგებლობის აღების სირთულე და ზოგ შემთხვევაში შეუძლებლობა, ხშირად ხდება კულტურული გაუცხოების, რელიგიური, ტერიტორიული თუ პირადი კონფლიქტების მიზეზი.

არტისტერიუმის 2013 და მისი თემა «ვარ მე შენ?» მონაწილეებს თავაზობს «სხვისი», როგორც ფენომენის კვლევას და ჩვენი დამოკიდებულების და პასუხისმგებლობის ეკოლოგიას «სხვის» მიმართ. გამოფენის მიზანი თუნდაც მიუღებელ იდეოლოგიასთან ან ცხოვრების წესთან თანაარსებობის გზების ძიება და თანაგრძნობის შესაძლებლობაა. წლევანდელი თემა იმ გავლენების აღმოჩენის საშუალებასაც იძლევა, რომელიც აყალიბებს ჩვენს დამოკიდებულებას გარშემო არსებულ მრავალფეროვანი ნააზრევისა თუ გამოვლინების, თუნდაც სიცოცხლის სხვა ფორმების მიმართ (ფლორა, ფაუნა), რომლებიც ჩვენს გვერდით ამ პლანეტაზე არსებობენ.“

არტისტერიუმში“ მონაწილეობენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი არტისტები, რომელთა მონაწილებასაც ფესტივალის ორგანიზატორებთან ერთად ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნების საელჩოები და კულტურის ცენტრები.

ტრადიციულად გამოიცემა თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის შემაჯამებელი კატალოგი.

ფონდმა „ქართული გალობა„ ჰამლეტ გონაშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გამართა

ღონისძიება გუშინ, რუსთაველის თეატრში მოეწყო და მას ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი უძღვებოდა. საღამოზე ჰამლეტ გონაშვილი მისმა მეგობრებმა და მომღერლის ნიჭი თაყვანისმცემლებმა გაიხსენეს. ჰამლეტ გონაშვილის საშემსრულებლო და ადამიანურ ღირსებებზე გაამახვილეს ყურადღება ფოლკროლისტმა გია ბაღაშვილმა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა, თემურ ჩალაბაშვილმა და სხვებმა.

პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა კი მომღერლის ხსოვნას ახალი ლექსი მიუძღვნა. ჯანსუღ ღვინჯილიას წერილი წაიკითხა მისმა ქალიშვილმა, გვანცა ღვინჯილიამ. საიუბილეო საღამო, რომელმაც სრული ანშლაგით ჩაიარა, დააგვირგვინა ანსამბლ „რუსთავის“ ძველი და ახალი თაობების მომღერლების ერთობლივმა ნამღერმა და ბავშვთა გაერთიანებული გუნდის მიერ შესრულებულმა „მრავალჟამიერმა“.

რუსთაველის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცული უნიკალური არქივის - ჰამლეტ გონაშვილის ნამღერისა და ინტერვიუების მოსმენის შესაძლებლობაც ჰქონდათ.

ფონდი „ქართული გალობის“ მხარდაჭერითა და დაფინანსებით ჰამლეტ გონაშვილის განახლებული ორი კომპაქტური დისკისგან შემდგარი CD და DVD ალბომი და მონოგრაფია გამოვიდა, რომლის შეძენის შესაძლებლობა დამსწრე საზოგადოებას საიუბილეო საღამოზე მიეცა. გაყიდული ალბომებიდან შემოსული თანხა მომღერლის ოჯახს გადაეცა.

ამასთან, ფონდი წლის ბოლომდე რამდენიმე ღონისძიებას გეგმავს, რომელთაგან აღსანიშნავია: გიორგი მთაწმიდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის შენობის რემონტი და აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმების პროგრამის დაწყება, გალობის სასწავლო აუდიოალბომის გამოცემა, ღვანლმოსილ ლოტბართა საღამოების გამართვა რეგიონებში, საექსპედიციო ჩანაწერების გამოცემა, ფონდის საიტის შექმნა და სხვა.

საია-მ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელი წარადგინა.

საია-ს ინფორმაციით, ბოლო დროს სხვადასხვა მედიასაშუალებებსა და სოციალურ ქსელებში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მიერ, უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეების სწავლისა და სწავლასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დაფინანსებას ეხებოდა.

როგორც საია-ში აცხადებენ, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობი რჩება ინფორმაცია იმის შესახებ: სპეციალურად ამ მიზნით პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით შექმნილმა კომისიამ რომელ სასწავლო მიმართულებებსა და ფაკულტეტებს მიანიჭა უპირატესობა და რა კრიტერიუმებით ისარგებლა კომისიამ გამარჯვებულთა შერჩევისას; რამდენი იყო გასაცემი თანხების მთლიანი ბიუჯეტი; იმ პირთა სია, რომელთაც საკონკურსო კომისიამ მიანიჭა დაფინანსება და თითოეულ ადამიანზე გასაცემი (გაცემული) თანხის რაოდენობა.

„მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის 31 ივლისის საია-მ ოფიციალურად მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის გაცემა ითხოვა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას დღემდე არ გაუცია მოთხოვნილი ინფორმაცია. უფრო მეტიც, პრეზიდენტის ადმინისტრაციას არც წარდგენილი ადმინისტრაციულ საჩივარი განუხილავს და გადაუწყვეტია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით," - აცხადებენ საია-ში.

შესაბამისად, გუშინ ორგანიზაციამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალდებულება მოითხოვა.

საია კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს საჯარო ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაცემის ვალდებულებას და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დაინტერესებული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების პრაქტიკულ რეალიზებას.

ემზარ გოგუაძე «საზოგადოებრივ მაუწყებელში» არსებულ კრიზისზე საუბრობს

ბორდის დატოვება სამჯერ მთხოვეს, - ამის შესახებ «საზოგადოებრივი მაუწყებლის» სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ემზარ გოგუაძემ გუშინ «საზოგადოებრივ მაუწყებელში» გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

გოგუაძემ არ დააკონკრეტა, თუ ვინ სთხოვა მას საბჭოს დატოვება, თუმცა აღნიშნა, რომ ამის შესახებ ის დღეს ისაუბრებს და, სავარაუდოდ, იმ პიროვნებასაც დაასახელებს, ვინც მას სამეურვეო საბჭოს დატოვება სთხოვა.

გოგუაძის განცხადებით, მაუწყებლის ისტორიაში მეორედ მოხდა «საზოგადოებრივი მაუწყებლის» კრიზისი, რადგან იგივე მოვლენა იყო რამდენიმე ხნის წინ, როდესაც სამეურვეო საბჭო გადაწყვეტილების მიღებაში უუნარო გახდა.

ბრიფინგზე მან ეკა მაზნიაშვილისა და ავთანდილ ანთიძის გადაწყვეტილებაზეც ისაუბრა, რომლებიც ბორდის დატოვებას აპირებენ. ასევე ისაუბრა იმ ზეწოლაზე, რომელიც, მისი თქმით, თავად საბჭოს წევრებზე ხორციელდება. როგორც გოგუაძემ აღნიშნა, თუკი ეს ორი ადამიანი საბჭოდან ნამდვილად გავა, ამით «საზოგადოებრივი მაუწყებელი» ძალიან დაზარალდება, რადგან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს, მათ შორის ჩავარდება «საზოგადოებრივი მაუწყებლის» გენერალური დირექტორის პოსტზე გამოცხადებული კონკურსი. ასევე, ვერ შეიტანს მაუწყებლის ბიუჯეტში კორექტივებს, თუ არ მოხდა ცხრაწევრიანი შემადგენლობის ცნობა, რადგან დღევანდელი მდგომარეობით, ბორდში მხოლოდ შვიდი წევრია, რის გამოც საბჭო გადაწყვეტილებებს ვერ იღებს. „ჩვენ ჟურნალისტები ვართ, ვემსახურებით ქვეყანას და ყოველთვის სიმართლის სადარაჯოზე უნდა ვიყოთ," - აღნიშნა ემზარ გოგუაძემ.

პარლამენტში ხელფასები 4 მილიონ 390 ათასი ლარით გაიზრდება

პრეზიდენტის ადმინისტრაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წელს დაფინანსება 20 ათასი ლარით გაეზრდება და 9 მილიონ ლარს შეადგენს.

ეს თანხა, ძირითადად, ხელფასების მატებას მოხმარდება. 2012 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბიუჯეტი 19 მილიონ 700 ათასი ლარით განისაზღვრებოდა.

უცვლელი დარჩა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის „შემოსავლები" და მილიონ 800 ათასი ლარით განისაზღვრა (2012 წელს 20 მილიონ 618 ათას ლარს შეადგენდა).

მთავრობის კანცელარიის ბიუჯეტი გაისად 40 ათასი ლარით გაიზრდება და 10 მილიონ ლარს მიაღწევს. „ქამრების შემოჭერა" 2012 წელს მთავრობასაც დასჭირდა - შემოსავლების მოცულობა მაშინ, დაახლოებით, 10 მილიონი ლარით შეუმცირდა.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტს, მისი ბიუჯეტი გაისად 469 ათასი ლარით შემცირდება და 59 მილიონ 531 ათასი ლარით განისაზღვრება. თუმცა, 2012 წელთან შედარებით, მისი „შემოსავლები" 23 მილიონ 87 ათასი ლარით არის გაზრდილი. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო საქმიანობით დაკავებულთა რიცხვი პარლამენტში მომავალ წელს 900-დან 840-მდე შემცირდება, თუმცა, შრომის ანაზღაურება 4 მილიონ 390 ათასი ლარით გაიზრდება და 27 მილიონ 604 ათას ლარს მიაღწევს.

საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებს მთავრობა განსხვავებული რეჟიმით დაეხმარება

გუშინ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში სამთავრობო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელიც, 1 ოქტომბერს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების საჭიროებებზე რეაგირების მიზნით ჩამოყალიბდა. კომისიას ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი დავით ნარმანია და რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ხელმძღვანელობენ.

პაატა ზაქარეიშვილის ინფორმაციით, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და ინფრასრუქტურის სამინისტრომ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების პრობლემების ნუსხა ჯერ კიდევ 30 მაისს შეადგინა. თუმცა, მას შემდეგ, როგორც ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რუსებმა აგრესიული მოქმედებები განაგრძეს და მავთულხლართების გავლება, რაც 2008 წელს დაიწყო, კვლავ ინტენსიურად განაახლეს. **აშკარად ჩანს, რომ ის პრობლემები, რომლებიც აღწერილი გვქონდა, გამყოფის ხაზის მიმდებარე ყველა სოფელზე ვრცელდება. შესაბამისად, მუდმივმოქმედი სამთავრობო კომისიის შექმნა გახდა საჭირო. რეინტეგრაციის საკითხებში სახელწიფო მინისტრის აპარატი ერთ-ერთი კოორდინატორია, რომელიც ინფორმაციას აგროვებს და ერთ ანალიტიკურ სივრცეში ათავსებს. შემდეგ ეს სხვადასხვა სამინისტროებს ეგზავნება,"** - ამბობს სახელმწიფო მინისტრი.

ზაქარეიშვილის ინფორმაციით, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების გაზიფიცირება იგეგმება. მინისტრი დარწმუნებულია, რომ გაზის გაყვანის შემდეგ ამ სოფლებში უფრო მეტი ადამიანი დაბრუნდება, ვიდრე ოკუპაციამდე იყო.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, მთავრობა ცდილობს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას ისე დაეხმაროს, რომ კანონი არ დაარღვიოს. **მინდა, ოპოზიციამ რომელიც ჩასაფრებულია და გვაკრიტიკებს, კარგად გაიზაროს, რომ როდესაც მოსახლეობას ვეხმარებით, ეს წინასაარჩევნო კამპანიისთვის კეთდება თუ პრობლემის მოგვარების ნაწილია,"** - თქვა ზაქარეიშვილმა.

მინისტრი დარწმუნებულია, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლების საჭიროებებზე რეაგირებისთვის შექმნილი კომისიის ფარგლებში ყველა უწყება პრობლემების დროულად მოგვარებით არის დაინტერესებული.

რაც შეეხება საოკუპაციო ხაზის მოსაზღვრე სოფლებში მინისტრების სტუმრობის საკითხს, ზაქარეიშვილის თქმით, „ყიჟინა, თითქოს მინისტრები გამყოფ ხაზთან არ ჩადიან, აბსოლუტურად უსაფუძვლოა." როგორც პაატა ზაქარეიშვილი აღნიშნავს, სამინისტროების წარმომადგენლები ადგილზე რეგულარულად მუშაობენ. ამასთან, სამინისტროების ხელმძღვანელები გამყოფ ხაზთან უკვე იმყოფებოდნენ.

სახელმწიფო მინისტრი აგრეთვე გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გამყოფ ხაზზე რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ბოძების დემონტაჟი დაიწყეს. **სადღაც შეიძლება, ბოძების დემონტაჟი დაიწყონ, სადღაც - მონტაჟი, მაგრამ ეს ჩვენს დღის წესრიგზე გავლენას ვერ მოახდენს. ჩვენი ამოცანაა, მოსახლეობა დაცული იყოს,"** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

მინისტრი «რაღაც პროცესებს" არ გამორიცხავს, თუმცა დასძენს, რომ ნურავის ექნება ილუზია, თითქოს ამ მიმართულებით რუსეთისგან დადებითი ნაბიჯებია მოსალოდნელი.

დავით ნარმანიამ ჟურნალისტებთან კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ისაუბრა.

მინისტრის თქმით, სიახლე ის არის, რომ კომისია არა მხოლოდ ცხინვალის რეგიონის, არამედ აფხაზეთის მიმართულებითაც იმუშავებს. როგორც ნარმანიამ აღნიშნა, სამინისტროს ენგურისპირა სოფლებში არსებული საჭიროებები შესწავლილი აქვს. ამასთან, სამინისტროები კოორდინირებულ მუშაობაზე შეთანხმდნენ.

ცხინვალის რეგიონის მიმდებარე სოფლების გაზიფიცირების შესახებ კი კონკრეტული გადაწყვეტილებაა მიღებული. როგორც ნარმანია ამბობს, ენერგეტიკის სამინისტრო სამუშაოების ჩატარებისთვის კონკრეტულ ხარჯთაღრიცხვას და გრაფიკს მოამზადებს.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა კი დააზუსტა, რომ მათ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისგან 38 სოფლის შესახებ დამატებითი მოთხოვნები მიიღეს. **„ამ სოფლების ნაწილი გაზიფიცირებულია, ნაწილში ცენტრალური მილი გაყვანილია, ხოლო რამდენიმე სოფელში გაზი შეყვანილი არ არის. აღნიშნული სოფლები გორის, კასპის და საჩხერის მუნიციპალიტეტებს ეკუთვნით. უახლოეს მომავალში ენერგეტიკის სამინისტროს ექნება ინფორმაცია გაზიფიცირების საჭირო ფინანსების შესახებ, რასაც მთავრობის წინაშე წარადგენს,"** - ამბობს ელოშვილი.

სოფლებში, სადაც გაზიფიცირება ვერ მოესწრება, შეშის დარიგება იგეგმება. დავით ნარმანიას თქმით, ტყეები, საიდანაც მოსახლეობას შეშა გამოჰქონდა, გამყოფი ხაზის მიღმა აღმოჩნდა. გარემოს დაცვის სამინისტრო გამოყოფს ადგილებს, სადაც შეშის მოჭრა იქნება შესაძლებელი. ამასთან, მოსახლეობას ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე არსებულ, სანქციის სახით ჩამორთმეულ შეშას გადასცემს.

რაც შეეხება სხვა პრობლემებს, მუნიციპალიტეტის გამგებელი პაპუნა კობერიძე, რომელიც სხდომას ესწრებოდა, აღნიშნავს, რომ სოფლებში ზარდიაანთკარსა და კოშკაში სასმელი წყლის ჭაბურღილები გაკეთდა, დიდ ხურვალეთსა და გუგუთაანთკარში კი ჭაბურღილებს ამჟამად ამონტაჟებენ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი ჯავახიშვილის ინფორმაციით, აღნიშნული ღონისძიებები ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებიდან დაფინანსდება. გარდა ამისა, კომისიის წევრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრას და დაფინანსების მოძიებას ეცდებიან.

კომისიის მორიგი სხდომა 15 ოქტომბერს გაიმართება.

საკუთარი ინფორმაცია

პარლამენტი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ბოლო პლენარული სხდომისთვის ემზადება

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა განიხილეს. პროექტის თანახმად, «ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონში ცვლილებები შედის, რომლის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების ეფექტური კოორდინაცია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებები სამინისტროს იმ სამსახურებზეც გავრცელდება, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ახორციელებენ.

თანამდებობის პირთა წრის გაფართოებას ითვალისწინებს კანონპროექტი «საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომელიც საპროცედურო საკითხთა კომიტეტში განიხილეს.

ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისთვის წარმოდგენილი 2013 წლის 20 ოქტომბერს ხელმოწერილი «საქართველოს და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის ფინანსური ხელშეკრულება «წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II» განიხილეს.

ხელშეკრულება ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ საქართველოსთვის 40 მილიონი ევროს ოდენობით ახალი სესხის გამოყოფას ითვალისწინებს, რომელიც სამეგრელოში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, შიდა ქართლსა და კახეთში წყლისა და სანირების სფეროში ეფექტურობის, მომსახურების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოს გაუმჯობესების მიზნით 30 ქვეპროექტის განხორციელებას მოხმარდება. აღნიშნულ ფინანსურ სახსრებს ფინანსთა სამინისტრო შპს «საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას" გადასცემს იმავე პირობებით, რა პირობებითაც ბანკი (EIB) გამოუყოფს საქართველოს. კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხს.

კომიტეტებში განხილული საკითხების შესახებ დღეს პლენარულ სხდომაზე იმსჯელებენ და კენჭს უყრიან. ამის შემდეგ, რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის პლენარული სხდომები საპრეზიდენტო არჩევნებამდე აღარ გაიმართება.

საქართველო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის სრულფასოვანი წევრი ხდება

საქართველო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალის სრულფასოვანი წევრი ხდება. როგორც „ინტერპრესნიუსს" თავდაცვის უწყებიდან აცნობეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მინისტერიალის (SEDM) ინიციატივას უერთდება. გაწევრიანების შესახებ ოფიციალური განცხადება გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თავდაცვის მინისტრებთან შეხვედრაზე გააკეთა.

„დღეიდან საქართველოს მონაწილეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მინისტრების ინიციატივაში არ იქნება მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსი. დღეს განვაცხადეთ და საქართველოს გადაწყვეტილება ვაცნობე მინისტრებს, რომ გვინდა, სრულფასოვანი წევრები გავხდეთ. პროცედურები, დაახლოებით, ერთ წელს გაგრძელდება. მომავალი წლიდან უკვე გავხდებით ამ ორგანიზაციის წევრი, რომელიც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმატია რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე," - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მინისტერიალის ფორმატში ქართული მხარე 2006 წლიდან დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს. აღნიშნული ფორმატი რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობას და მონაწილე ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ემსახურება. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თავდაცვის მინისტერიალი 1997 წლის 3 ოქტომბერს რეგიონის მინისტრების შეხვედრისას სოფიაში, აშშ-ს ინიციატივით ჩამოყალიბდა.

17 წლამდელები ევროშესარჩევისთვის მზადებას იწყებენ

4 ოქტომბრიდან უეფას 17 წლამდე ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპისთვის მზადებას იწყებს საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები (1997 წელს დაბადებულები).

გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ნოდარ აკობიას** გადაწყვეტილებით, ნაკრები შესარჩევისწინა დასკვნით შეკრებას ზუგდიდში, «ბაიას“ საწვრთნელ ბაზაზე გაივლის. შეკრებაზე გამოძახებული არიან:

მეკარეები: ოთო გოშაძე, ბექა ქურდაძე (ორივე «საბურთალო“), სანდრო ბენდიანიშვილი («ლოკომოტივი“, თბილისი)

მცველები: რატი კაკიაშვილი, გიორგი აბელაშვილი, ცოტნე ნადარაია, დემურ ჩომახიძე (ყველა «საბურთალო“), ვასილ კაციტაძე («დინამო“, თბილისი), ირაკლი კომახიძე («შუქურა“, ქობულეთი), თორნიკე გაფრინდაშვილი, გიორგი ქობულაძე (35-ე სკოლა), ამირან გოგიაშვილი («დილა“, გორი), ნიკა კევლიშვილი («ლოკომოტივი“, თბილისი)

ნახევარმცველები: ანდრო ნემსაძე («დინამო“ თბილისი), ირაკლი ბიძინაშვილი, ვლადიმერ მამუჩიშვილი («საბურთალო“), ნიკა ლაშხია («ზესტაფონი“), ირაკლი კომახიძე, შერმადინ ართმელაძე (ორივე «შუქურა“, ქობულეთი), გიორგი ბერიძე («დილა 2“, გორი), გიორგი კიკნაძე, ირაკლი კამლაძე («ლოკომოტივი“, თბილისი), ნიკა ქორიძე («რეჯანა“, იტალია)

თავდამსხმელები: გიორგი ჯობავა («ოსერი“, საფრანგეთი), ბექა მიქელთაძე («ზესტაფონი“), გიორგი წივილაშვილი («საბურთალო“), საბა ცინცქილაძე («შუქურა“, ქობულეთი)

შეკრების ფარგლებში, 17 წლამდელები ტესტ-მატჩს ითამაშებენ «ზესტაფონის“ დუბლებთან. გუნდი თბილისში 15 ოქტომბერს დაბრუნდება. 17 ოქტომბრიდან კი შესარჩევის მატჩები იწყება.

შეგახსენებთ, რომ **შესარჩევ ტურნირს საქართველო მასპინძლობს**. 17 წლამდელები **მე-11 ჯგუფში** იასპარეზებენ და მეტოქეებად **ფარერების, ჰოლანდიისა და სან მარინოს** ნაკრებები ეყოლებათ. ტურნირის კალენდარი ასეთია:

17 ოქტომბერი

ჰოლანდია vs ფარერები («დინამო არენა“. 14:00 საათი)

საქართველო vs სან მარინო (მიხეილ მესხის სტადიონი. 16:00 საათი)

19 ოქტომბერი

სან მარინო vs ჰოლანდია (გორი. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. 14:00 საათი)

საქართველო vs ფარერები (მიხეილ მესხის სტადიონი. 16:00 საათი)

22 ოქტომბერი

ჰოლანდია vs **საქართველო** (მიხეილ მესხის სტადიონი. 16:00 საათი)

ფარერები vs სან მარინო (გორი. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. 14:00 საათი)

შესარჩევი ჯგუფიდან ელიტრაუნდში ორი გუნდი გადის.

სფფ-ის პრესსამსახური

ნაკრები ფაჩულიას გარეშე?

ზურა თალაკვაძე

ზაზა ფაჩულია

ვატო ნაცვლიშვილი სოლიდური, ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული იყო. როცა კალათბურთს თამაშობდა. და ის კალათბურთი გულწრფელი, ამაყი იყო. ის კალათბურთი უკან არ იხევდა და ის კალათბურთი იყო აგრესიის და თავმოყვარეობის კარგი ნაზავი. გინდა მოგება? მოდი და გაიარე ვატოს, დუდუ დადიანის, ბევრი თავმოყვარე ქართველის უბანში. ვატოს თამაშებზე დავდიოდი და მისი დიდი გულშემატკივარი ვიყავი. ყოველთვის დავრჩები. როგორც კალათბურთელის. და თუ ვატო ნაცვლიშვილი, რომელიც დღეს „დინამოს“ ბოსია, თვლის, რომ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ზაზა ფაჩულიას გარეშე გაქაჩავდა, ეს უკვე არასერიოზულია. არასერიოზული, დილეტანტური ფრაზები სერიოზული მოთამამისგან. რომელიც, ცნობისთვის, კალათბურთს აღარ თამაშობს.

„არენაში“ ვატომ ბევრ რამეზე ისაუბრა. ნაკრებზე, არანაკრებზე, სხვა საკითხებზე და იმ თემაზე, რომელიც დღეს ყველაზე გასაჭორია ქართულ საკალათბურთო და არა მარტო საკალათბურთო უბნებში... ეს თემა ვიცით და მერე, სხვა დროს გავიაროთ. ვუბრუნდებით ვატოს და ნაკრებს, რომელსაც ზაზა ფაჩულია ლიტვაში უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სლოვენიაში. და რომელიც სლოვენიაში უფრო თორნიკე შენგელიას გარეშე დაიჩაგრა. რომელიც ვატოს და სხვა ასეთი ერუდიციის მქონე პროფესიონალებისგან არ უნდა მძიმდებოდეს. ნაკრები ამას არ იმსახურებს. ეს ყველაზე კარგად უნდა ესმოდეს იმ კაცს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ამ ნაკრების კაპიტანი იყო. კაპიტნის ტვირთიც, ეტყობა, მძიმეა. როგორც სხვა, ნებისმიერი ტვირთი, რომელიც გცვლის. და რომელიც არ უნდა გცვლიდეს.

ნაცვლიშვილი საუბრობდა ნიკა ცქიტიშვილზე. და იმაზე, რომ ნიკას ნაკრებში გამოძახება მისი დამსახურებაც იყო. კარგია, თუ ასეა და უკეთესია, თუ ასე თვლის. ნაცვლიშვილი ამბობდა, რომ ნიკა მისი ოჯახის წევრია. ასეა და ეს ულამაზესი, თითით საჩვენებელი ოჯახია.

ნაცვლიშვილი ამბობდა, რომ ნიკას ნაკრებში დაბრუნება მან სთხოვა და ნიკა დაბრუნდა.

ნაცვლიშვილი ამბობდა, რომ საქართველოს ნაკრები იგორ კოკოშკოვის ნაკრები არ არის. ვატო, ეს იგორმა თქვენი მინიშნების გარეშეც იცის. ყოველ შემთხვევაში, მგონი იცის და თუ რამეა, გადაუთარგმნიან.

ნაცვლიშვილი ამბობდა, რომ საქართველოს ნაკრები ქართველი ხალხისაა. რა თქმა უნდა, ასეა. ოღონდ, იმ ნაკრების მთავარი მწვრთნელიც ქართველი ხალხისაა და ქართველი ხალხისგან მეტ პატივისცემას იმსახურებს. ნაცვლიშვილმა ეს იცის. თვითონ იყო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და მწვრთნელზე ცუდად არ ულაპარაკია.

ნაცვლიშვილმა ისაუბრა, რომ ცქიტიშვილი კოკოშკოვისგან იღებდა ცინიზმს. ვატო, იგორი არ იკვებება ცინიზმით და შურით. ნამდვილად. ძალიან თავმდაბალი და ერუდირებული კაცია. ასეთები ცინიზმთან არ მეგობრობენ. და ვის და რა დროს ცვლის კოკოშკოვი, ეს ყველაზე უკეთ იგორმა იცის. და არა ვატომ. ან ნიკამ. თუ არ ვცდები, თვითონ ცქიტიშვილს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. ვინც რა ფორმაში იყო იმ დროს, იმ ხარისხის ნდობას იღებდა. ყველაფერი ძალიან მარტივია. ყველაფერი ლოგიკური და სწორი იყო.

ვატო ნაცვლიშვილი სოლიდური, ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული იყო. როცა კალათბურთს თამაშობდა. და ის კალათბურთი გულწრფელი, ამაყი იყო. ის კალათბურთი უკან არ იხევდა და ის კალათბურთი იყო აგრესიის და თავმოყვარეობის კარგი ნაზავი. გინდა მოგება? მოდი და გაიარე ვატოს, დუდუ დადიანის, ბევრი თავმოყვარე ქართველის უბანში. ვატოს თამაშებზე დავდიოდი და მისი დიდი გულშემატკივარი ვიყავი. ყოველთვის დავრჩები. როგორც კალათბურთელის. და არა როგორც ექსპერტის.

კიდევ რამდენიმე ნიუანსზე იყო საუბარი და ეს საქართველოს ნაკრებს არ ეხება. ვატო ნაცვლიშვილიც იმაზე უკეთესია, ვიდრე ის კომენტარები, რაც „არენაში“ წამოვიდა. დანარჩენზე მერე ვისაუბროთ.

როცა დრო იქნება.

სამინისტროში სპორტსაზოგადოება შევარდენის 95 წლის იუბილე აღინიშნა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ქართული სპორტის მუზეუმის თაოსნობით სპორტსაზოგადოება «შევარდენის“ 95 წლის იუბილე აღინიშნა.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას სამინისტროში განთავსებულმა ქართული სპორტის მუზეუმმა უმასპინძლა. ღონისძიებას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ივან იესტრჟაბი**, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები და ჟურნალისტები დაესწრნენ.

საღამო ქართული სპორტის მუზეუმის მცველმა - **ლილი ლომსაძემ** გახსნა, რომელიც ქართული სპორტის მუზეუმს ათეული წლებია ემსახურება.

სპორტსაზოგადოება «შევარდენი“ - ეს ჩვენი სპორტის ერთ-ერთი მშვენიერი ლეგენდაა, რომლის ფესვებს XIX საუკუნის მიწურულამდე მივყავართ, როცა ქართველი და ჩეხი სპორტსმენების საქმიან და მეგობრულ ურთიერთობას ჩაეყარა საფუძველი. თბილისში პირველად ტანვარჯიშის მასწავლებელი იულიუს გრუმლიკი გამოჩნდა, რომელიც ქალაქის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მიიწვიეს. ეს 1889 წელს მოხდა. 1892 წელს იმავე გიმნაზიაში დაიწყო მუშაობა სპორტული ტანვარჯიშისა და ფარიკაობის მასწავლებელმა ბ.პეტრუჩეკმა, რომელიც საქართველოს დედაქალაქს პრაღიდან ესტუმრა. მან საქართველოში 1896 წლამდე დაჰყო.

1896 წელს საქართველოს ანტონ ლუკეში ეწვია, ვინც შემდგომი წლების მანძილზე ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული სპორტის მოყვარულებს. მისი ინიციატივით 1906 წელს თბილისში საფეხბურთო კლუბი «კომეტა“ დაარსდა, 1909 წელს კი, ასევე ანტონ ლუკეშის თაოსნობით, «შევარდენის“ წინამორბედი სპორტული საზოგადოება «სოკოლი“ ჩამოყალიბდა. მისი წევრების დევიზი იყო: «ფიქრში სამშობლო, გულში სიმარდე და მკლავში - ძალა“.

1912 წელს, პრაღაში, ქართველმა სპორტსმენებმა გიორგი ეგნატაშვილმა, ირაკლი ლორთქიფანიძემ, გიორგი და თამარ ნიკოლაძეებმა, არჩილ ბაქრაძემ, გაიოზ ბერელაშვილმა, ივანე ბერიძემ და სხვებმა დაბალ თანრიგში გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. ტანვარჯიშული საზოგადოება «შევარდენი“ 1918 წლის 25 აგვისტოს გიორგი ეგნატაშვილის, გიორგი და თამარ ნიკოლაძეების, არჩილ ბაქრაძის, დავით ჯავრიშვილის, გაიოზ ბერელაშვილის, ირაკლის ლორთქიფანიძის, ივანე ბერიძის და სხვათა ინიციატივით დაარსდა.

«შევარდენის“ წევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აწყობდნენ გამოსვლა-შეჯიბრებებს. ორგანიზაცია ახალგაზრდობაში პატრიოტულ-რაინდულ სულს აღვივებდა. საგულისხმოა, რომ სპორტსმენები მუსიკის თანხლებით ვარჯიშობდნენ, რომლის ავტორი 18 წლის ტანმოვარჯიშე ევგენი მიქელაძე გახლდათ, შემდგომში სახელგანთქმული დირიჟორი.

სპორტსაზოგადოება «შევარდენის“ თაოსნობით არაერთი სახელმძღვანელო გამოიცა, მათ შორის ჩეხი მიროსლავ ტირშის ნაშრომის გიორგი ნიკოლაძისეული თარგმანი. თავად მიროსლავ ტირში ჩეხეთში «შევარდენის“ მსგავსი სპორტული კავშირის, «სოკოლის“ დამაარსებელი გახლდათ (1862 წელი). ხაზგასასმელია სოსო ასლანიშვილის წიგნი «პროფესორი ტირში და მისი მნიშვნელობა შევარდნობის ისტორიაში“, რომლის წინასიტყვაობაში ნათქვამი იყო: «ჩვენს უმთავრეს და უპირველეს მიზანს შეადგენს ერის სიმხნევეზე ზრუნვა, მისი აღორძინება და ზნეობრივი გაჯანსაღება“.

«ძალა ლომისა, აღმაფრენა შევარდენისა“ - ეს სპორტსაზოგადოება «შევარდენის“ დევიზი იყო. მისი წევრები ერთმანეთს ესალმებოდნენ შემდეგი სიტყვებით: «გუშაგობ ერს“! პასუხად კი ისმოდა: «მარად“! ეს ტერმინები გიორგი ნიკოლაძის დედას, ოლღა გურამიშვილს ეკუთვნის, რომელიც აქტიურად იყო ჩართული «შევარდენის“ საქმიანობაში. საზოგადოებას ჰქონდა ემბლემა - წმინდა გიორგის ხატი - რომელიც დამუშავებული გახლდათ ცნობილი ქართველი ფერმწერის დიმიტრი შევარდნაძის მიერ. «შევარდენის“ წევრები საზოგადოების სამკერდე ნიშნებით იწონებდნენ თავს. 1919 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მაშინდელ ვაკის სტადიონზე (დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორია) მოეწყო «შევარდენის“ წევრთა საჩვენებელი გამოსვლა-სპორტული აღლუმი. იგივე მოხდა 1920-1921 წლებშიც.

სპორტსაზოგადოება «შევარდენს“ და პირადად გიორგი ნიკოლაძეს დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სპორტული ტერმინოლოგიის განვითარებაში. მაგალითად, ნიკოლაძისეული «ტანვარჯიში“, «ფეხბურთი“, «თამაშგარე“, «მძლეოსნობა“, «არეკნი“ და სხვა არაერთი სიტყვა საფუძვლად დაედო ქართულ სპორტულ ლექსიკას. 1922 წელს გამოიცა ჟურნალ «შევარდენის“ პირველი და უკანასკნელი ნომერი, რომელიც ქართული სპორტის მუზეუმშია დაცული. 1922 წლის 3 ნოემბერს, საქართველოს საბჭოთა მთავრობამ «შევარდენი“ გააუქმა და მის ბაზაზე ჯერ პოლიტიკურ-სპორტული საზოგადოება «ვსეობუჩი“ დააარსა, მისი დაშლის შემდეგ «სპარტაკი“, რომელმაც ორიოდ წელიწადში წინამორბედის ბედი «გაიზირა“. 1923 წლის 19 მარტს, ამიერკავკასიის II ყრილობაზე სერგო ორჯონიკიძემ «შევარდენი“ მენშევიკურ ორგანიზაციად მოიხსენია...

1965 წელს, როცა ქართული სპორტის მუზეუმი დაარსდა, პროფესორმა მიხეილ გიორგაძემ საზოგადოება «შევარდენის“ მასალების გამოფენა მოაწყო. გიორგი ეგნატაშვილის ვაჟმა, ირაკლი ეგნატაშვილმა ამ საქმის ინიციატორებს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია. გამოფენას ასაკოვანი შევარდნელებიც დაესწრნენ: მიხეილ გორგაძე, გიორგი მერკვილაძე, გიგა ბერიძე, ტარას კუბლაშვილი, ნინო შინშიაშვილი. ქართული სპორტის მუზეუმი «შევარდენის“ 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე დამთვალიერებელს თითქმის საუკუნისწინანდელ საფოსტო ბარათებს, უნიკალურ ფოტომასალას, საზოგადოების ჯგუფების ჟურნალებს, სანოტო რვეულებს, სამკერდე ნიშნებს და ჟურნალ «შევარდენის“ პირველ და უკანასკნელ გამოცემას სთავაზობს.

სამინისტროს პრესსამსახური


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM
5 OCTOBER
Tbilisi, Georgia
20:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX PROM
BEAUTY SALON L'Académie
OUTdooR.ge
saller
ADSSPRINT
SHOES-CAFE MADONNA
TBILISI MALL
McCANN TBILISI
NEPTUN
MUSIC BOX
MYVIDEO.GE
EGO
GHN
ANGEL
MSG MARKETING
24 საათი
allmovies.ge
Pink
LUXURY
IMPERIAL PALACE HOTEL
KAMOBLOG.TV
FASHION BLOG .AM